

**სამაგისტრო პროგრამის დასახელება:** თარგმანის ხელოვნება (ქართული და ინგლისური ენების ბაზაზე)

**მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი:** ფილოლოგიის მაგისტრი / MA in Philology

**სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი:** სრული პროფესორი ინესა მერაბიშვილი

**პროგრამის ანალოგი:**

Centre for Translation & Intercultural Studies

- MA in Translation Studies. The University of Manchester. [www.umist.ac.uk/ctis](http://www.umist.ac.uk/ctis)
- Stockholm University. The Institute of Interpretation and Translation. [www.tolk.su.se](http://www.tolk.su.se)
- Centre for Translation and Comparative Cultural Studies. University of Warwick. [www2.warwick.ac.uk/fac/arts/ctccs/](http://www2.warwick.ac.uk/fac/arts/ctccs/)
- University of East Anglia. MA in Literary Translation. [www.uea.ac.uk/lt/](http://www.uea.ac.uk/lt/)

**სამაგისტრო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება:**

**ა) პროგრამის მიზანია მოამზადოს:** მთარგმნელი ინგლისურიდან ქართულ ენაზე და ქართულიდან ინგლისურ ენაზე, აგრეთვე თარგმანის თეორეტიკოსი და კრიტიკოსი. პროგრამა ითვალისწინებს მთარგმნელის, როგორც ბილინგვისტის მომზადებას, რათა მან თარგმნოს ქართულ ენაზე დედნიდან, ხოლო ქართული ტექსტი წარმატებულად გადაიტანოს ინგლისურ ენაზე.

ინგლისური ენისა და ლიტერატურის უმაღლეს კურსს ორი წლის მანძილზე გაუძღვება ბრიტანელი პედაგოგი. პროგრამა აგრეთვე ითვალისწინებს არჩევითი კურსების სახით ქართული ენის სტილისტიკისა და ქართული ლიტერატურის მოსმენას.

მთარგმნელი მომზადდება თანამედროვე მეცნიერული მეთოდოლოგიის ათვისების საფუძველზე, რაც ნიშნავს თარგმანის თანამედროვე თეორიის უახლესი მიღწევების გათვალისწინებას პრაქტიკულ საქმიანობაში.

**ბ) სწავლის შედეგები:** ამ პროგრამის გავლის შედეგად კურსდამთავრებულს მიღებული ექნება ღრმა ცოდნა თარგმანის თეორიასა და ინგლისურ ენაში და გამომუშავებული ექნება სათანადო ჩვევები თარგმანის ხელოვნებაში.

**გ) დასაქმების სფეროები:** მაგისტრი დასაქმდება, როგორც მთარგმნელი, თარგმანის თეორეტიკოსი, ბილინგვისტი ფილოლოგი, რომელსაც სამეცნიერო მუშაობასთან ერთად შეეძლება ასწავლოს თარგმანის საქმე და იმუშაოს სათანადო სასწავლებელში. მას აგრეთვე შეეძლება ითანამშრომლოს რედაქციებთან და გამომცემლობებთან, როგორც მთარგმნელმა და თარგმანის კრიტიკოსმა, აგრეთვე, როგორც სტილისტ-რედაქტორმა, იმუშაოს საერთაშორისო ორგანიზაციებში და უზრუნველყოს სათანადო თარგმანი.

**სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობები:**

- ბაკალავრის ხარისხი ან ერთსაფეხურიანი განათლების დიპლომი ჰუმანიტარული დარგის შემდეგი განხრებით: ფილოლოგია, კულტურის მეცნიერებები, ფილოსოფია, ჟურნალისტიკა, ინგლისური ენა და ლიტერატურა.
- პროგრამაზე დაშვება შესაძლებელია მხოლოდ ერთიანი სამაგისტრო გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში.
- სასპეციალიზაციო გამოცდა თარგმანის თეორიაში

**კვლევითი კომპონენტი:**

თსუ ჰუმანიტარული ფაკულტეტის «თარგმანმცოდნეობის» მიმართულება, რომელიც განისაზღვრება შემდეგი თემატიკით: თარგმანის ლინგვისტიკა, თარგმანის თანამედროვე

მიმართულებები; თარგმანი, როგორც კულტურათა დიალოგი, თარგმანის კრიტიკული ანალიზი, თარგმანის შესრულება უცხოური ენიდან ქართულ ენაზე და ქართული ენიდან უცხოურ ენაზე.

**სამეცნიერო კვლევის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა:**

სამაგისტრო პროგრამის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას სრულად უზრუნველყოფს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული საქართველოს ბაირონის საზოგადოება (ინტერნეტი, კომპიუტერები, ფაქსი და სხვ.), ბაირონის კაბინეტი ყოფილ ენებისა და თარგმანის კათედრასთან ერთად თსუ, მე-4 კორპუსი, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი 14, მე-3 სართული, ოთახი #312

**სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა**

№	სასწავლო კურსის დასახელება	სასწავლო კურსის სტატუსი: სავალდებულო, არჩევითი	კრედიტების საერთო რაოდენობა
1.	თარგმანის ლინგვისტიკა	სავალდებულო	10
2.	თარგმანი, როგორც კულტურათა დიალოგი	სავალდებულო	5
3.	სემასიოლოგია (ლექსიკოგრაფიული პარამეტრები)	სავალდებულო	10
4.	ინგლისური ენა და თარგმანი	სავალდებულო	15
5.	ქართული თარგმანის ისტორია	არჩევითი	5
6.	ინგლისური ტრავიკომედია და ვეფხისტყაოსანი	არჩევითი	5
7.	ქართული ლიტერატურა საზღვარგარეთულ ქართველოლოგიაში	არჩევითი	5
8.	ინგლისური რომანტიზმი და მისი აღქმა საქართველოში (ინგლისურ ენაზე)	არჩევითი	5
9.	თანმიმდევრული თარგმანი	არჩევითი	10
10.	მასმედიისა და პოლიტიკური ტექსტის ანალიზი და თარგმანი	არჩევითი	15
11.	მხატვრული თარგმანის შეპირისპირებითი ანალიზის პრაქტიკული კურსი	არჩევითი	5
	სამაგისტრო ნაშრომი	სავალდებულო	
	სულ		<b>120</b>

**საგამოცდო საკითხები:**

ა)

1. როგორ გესმით «თარგმანის» ცნება და ამ ცნების რომელ განმარტებებს იცნობთ.
2. როგორი იყო ძველი ქართველების ურთიერთობა უცხოეთთან თარგმანის გზით.

3. როგორია თავისუფალი თარგმანის ტრადიცია საქართველოში.
4. გიორგი მთაწმინდელის, ექვთიმე ათონელისა და ეფრემ მცირეს მთარგმნელობითი მოღვაწეობა.
5. «ვისრამიანი» როგორც ქართულად თარგმნილი საერო ლიტერატურის ძეგლი.
6. თარგმანი თუ გადმოკეთება? «როსტომიანის» მაგალითი.
7. როგორ გესმით რუსთველის ნათქვამი: «ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები».
8. ქართველ მწერალთა ევროპული ორიენტაცია XVIII-XIX საუკუნეებში.
9. ილია ჭავჭავაძე როგორც მთარგმნელი.
10. ილია ჭავჭავაძე როგორც თარგმანის კრიტიკოსი («ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის მიერ კაზლოვის «შემლილი»-ს თარგმანზედა»).
11. ივანე მაჩაბელი როგორც შექსპირის მთარგმნელი.
12. რა იცით «ვეფხისტყაოსნის» ინგლისური თარგმანების შესახებ.
13. ილია და მარჯორი ვორდროპი.
14. ვინ არის საქართველოში თარგმანის მეცნიერული თეორიის ფემედებელი და როგორ გაგრძელდა ეს საქმე.
15. დაასახელეთ ინგლისური ლიტერატურის ცნობილი მთარგმნელები XX საუკუნის საქართველოში. მიუთითეთ ის ნაწარმოებები, რომლებიც მათ თარგმნეს დედნიდან.
16. როგორ გესმით თარგმანის დანიშნულება.
17. რა ძირითადი განსხვავებაა დარგობრივ თარგმანსა და მხატვრულ თარგმანს შორის.
18. ვინ უნდა ასრულებდეს დარგობრივ თარგმანს.
19. ვინ შეიძლება შეასრულოს მხატვრული თარგმანი.
20. როგორ გესახებათ პოეტური თარგმანი? რა განასხვავებს პოეტურ თარგმანს მხატვრული პროზის თარგმანისაგან?

**ბ) განმარტეთ და დაასახელეთ მაგალითები:**

1. არქაული სიტყვები;
2. ჟარგონი;
3. პროფესიონალიზმები;
4. დიალექტის ლექსიკა;
5. რიტმი და რითმა;
6. ალიტერაცია;
7. ონომატოპეა;
8. რემინისცენცია;
9. ალუზია;
10. მეტაფორა;
11. მეტონიმია;
12. ირონია;
13. ეპითეტი;
14. ოქსიუმორონი;
15. შედარება;
16. ჰიპერბოლა;
17. პარაფრაზი, პერიფრაზი;
18. სიმბოლო;
19. მხატვრული სახე;
20. პოეტური ხატი.

გ) შეასრულეთ მოკლე უცნობი ტექსტის (ინტერმედიატე, 1) თარგმანი ინგლისურიდან ქართულად.

ზემოთ მოყვანილი საკითხების მოსამზადებლად სტუდენტს ვურჩევთ მიმართოს შემდეგ ლიტერატურას:

1. გაჩეჩილაძე გ., მხატვრული თარგმანის თეორიის საკითხები, თბ., 1959;
2. ფანჯიკიძე დ., ქართული თარგმანის ისტორიის საკითხები, თბ., 2005.

**შენიშვნა:** გამოცდის წინ პროგრამის ხელმძღვანელი და პროგრამის მონაწილენი შეხვდებიან სტუდენტებს და გაუწევენ სათანადო კონსულტაციას.